საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა

საფინასო-საბიუჯეტი კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის ბოლო ვარიანტი და დაადგინა შემდეგი:

1.სოციალური სფერო უნდა გაიზარდოს 3,0 ათასი ლარით და გახდეს 553,0 ათასი ლარი (2015 წლის ბიუჯეტით „დღის ცენტრისთვის“ გათვალისწინებული იყო 10,0 ათასი ლარი, პროდუქტზე ფასების ცვლილებასთან დაკავშირებით დაემატოს 3,0 ათასი ლარი)

2.საკრებულოს გაეზარდოს დაფინანსება 5,0 ათასი ლარით (არაფინასური აქტივები: კომპიუტერული ტექნიკა და ავეჯი)

3.განათლების სისტემის ხელშეწყობის პროგრამა დაფინანსდეს 20,0 ათასი ლარით (წარმოდგენილი 10,0 ათასი ლარი სრულად ვერ უზრუნველყოფდა პროექტის განხორციელებას ამიტომ ზუსტი კალკულაციის საფუძველზე არსებულ თანხას უნდა დაემატოს 10,0 ათასი ლარი)

4.სარეზერვო ფონდი გაიზარდოს 15,0 ათასი ლარით და გახდეს 100,0 ათასი ლარი, (წინა წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით ვერ ხერხდებოდა საწყის სამუშაოებზე მყისიერი რეაგირება შესაბამისი თანხის უქონლობის გამო)

5.გაიზარდოს რელიგიის დაფინანსება 10,0 ათასი ლარი და გახდეს 20,0 ათასი ლარი

6.რაც შეეხება ა(ა).ი.პ-ებს, იმსჯელა კომისიამ და ა(ა).ი.პ ეფექტური ფუნქციონირებისათვის უნდა დაემატათ შემდეგი თანხები:

ა) ა(ა).ი.პ. „სამუსიკო სკოლა“ გაეზარდოს დაფინანსება 14,0 ათასი ლარით;

ბ) ა(ა).ი.პ. „სამუზეუმო გაერთიანება“ 10,0 ათასი ლარით;

გ) ა(ა).ი.პ. „საბიბლიოთეკო გაერთიანება“ 8,0 ათასი ლარით;

დ) ა(ა).ი.პ. „კულტურის ცენტრი“ 24,0 ათასი ლარით;

ე) ა(ა).ი.პ. „სასპორტო სკოლა “ 26,0 ათასი ლარით;

ვ) ა(ა).ი.პ. „მომავალი“ 58,0 ათასი ლარით;

ზ) ა(ა).ი.პ. „სპორტის განვითარების ცენტრი“ 12,0 ათასი ლარით;

თ)ა(ა).ი.პ. „კომუნალური სამსახური სხივი “ 50,0 ათასი ლარით;

ი) ა(ა).ი.პ. „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“ 5,0 ათასი ლარით;

გამოდინარე აქედან, 2016 წლის წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის უნდა გაიზარდოს 292,5 ათასი ლარით და ბუიჯეტი გახდეს 5915,0 ათასი ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ განსახილველად წარმოადგინა პროექტი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 29 დეკემბრის N60 დადგენილებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

კომისიამ განიხილა წარმოდგენილი ცვლილება და დაუჭირა მხარი შემდეგ ცვლილებებს:

-)ა(ა).ი.პ. კომუნალური სამსახური ,,სხივი“-ს სუბსიდირებაზე 21,2 ათასი ლარი;

-ა(ა).ი.პ. კულტურის ცენტრის სუბსიდირებაზე 46,1 ათასი ლარი;

-ა(ა).ი.პ. საფეხბურთო კლუბი „ბახმარო“-ს სუბსიდირებაზე 37,4 ათასი ლარი;

-ა(ა).ი.პ. სასპორტო სკოლის სუბსიდირებაზე 20,5 ათასი ლარი;

-ა(ა).ი.პ. საბიბლიოთეკო ცენტრის სუბსიდირებაზე 1,4 ათასი ლარი;

-ა(ა).ი.პ. სპორტის განვითარების ცენტრის სუბსიდირებაზე 2,5 ათასი ლარი;

-ა(ა).ი.პ. სამუზეუმო გაერთიანების სუბსიდირებაზე 5,0 ათასი ლარი;

-ა(ა).ი.პ. სამხატვრო სკოლის სუბსიდირებაზე 0,6 ათასი ლარი;

-ა(ა).ი.პ. სსსს დაწესებულება „მომავლი“-ს სუბსიდირებაზე 25,6

-სოციალურ პროგრამებზე 7,8 ათასი ლარი; (წინა წელს აღებული ვალდებულებების დასაფარავად).

გარდა აღნიშნულისა უნდა შემცირდეს საინვესტიციო პროგრამების თანადაფინანსება 5,9 ათასი ლარით (წითელი ჯვარი და და ა(ა)იპ ახალგაზრდული ცენტრი „პროგრესი“) და მიიმართოს ონკოლოგიურ დაავადებულთა სამედიცინო სტაციონალური მომსახურებაზე და მედიკამენტების შეძენისათვის. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაციის ხარჯები უნდა შემცირდეს 150,7ათასი ლარით, სოფლის მეურნეობის განვითარების

ხარჯების 8,0 ათასით და მიმართოს ა(ა)იპ სამხატვრო სკოლის სუბსიდირებაზე 2,2 ათასი,ა(ა)იპ. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებაზე 1,8 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს -36,0 ათასი შრომის ანაზღაურებისათვის და მუნიციპალიტეტის გამგეობას შრომის ანაზღაურებისათვის -86,0 ათასი ლარი. (შობა ახალი წლის სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით თანამშრომელთა წახალისების მიზნით).

წარმოდგენილი პროექტები იქნა მხარდაჭერილი.

საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე მაია პაიჭაძე